შეგრძნებათა იერარქიის სუბვერსია პოსტმოდერნისტულ ნარატივში სალმან რუშდის *შუაღამის შვილების* და პატრიკ ზიუსკინდის *სუნამოს* მიხედვით

თეა როსტოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი. უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა. (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი. დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეა როსტოშვილი 26.06.2016.

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანია, დავადგინოთ პოსტმოდერნისტულ ნარატივში როგორ ხორციელდება შეგრძნებათა იერარქიის სუბვერსია *შუაღამის შვილების* და *სუნამოს* მაგალითზე. რასთან ასოცირდება სუნი *სუნამოში* და რა დატვირთვის მქონეა *შუაღამის შვილებში.*

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ორივე ნაწარმოების პროტაგონისტისთვის სუნით აღქმული სამყარო გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. სუნამოს შემთხვევაში სუნი მომავალს უკავშირდება და განიხილება, როგორც მედია. ხოლო *შუაღამის შვილებში* სუნი ისტორიის, წარსულის შეცნობის, (გაგების) და გადაფასების საშუალებაა.

ამ ნაწარმოებების მიხედვით, სუნი არაცნობიერის დონეზე თვითგადარჩენაში ეხმარება პროტაგონსიტებს.

საძიებო სიტყვები: შეგრძნებები, სუბვერსია, სუნი.